მომხსენებელი–გოჩა დავლიანიძე

კომპანია კამელინმა დაარსების მომენტიდან (2005 წ) საწარმოში დანერგა თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები და საწარმო აღჭურვა საუკეთესო მანქანა დანადგარებით, რითაც მიღწეული იქნებოდა პროდუქციის წარმოება, რომელიც პასუხობს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს, წარმოების, მარკირებისა და შეფუთვის მიმართულებით. საწყისი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ფარმაცევტული ნივთიერება – კამელინი გადის სრულ ტექნოლოგიურ გაწმენდასა და ფილტრაციის პროცესს ამერიკული წარმოების (Millipore Corporation დღევანდელი Merck Millipore AG გერმანია) ულტრათანამედროვე საფილტრაციო ხაზში, რომლისგანაც შემდეგ იწარმოება კამელინის 5 სახის პროდუქტი : კამელინ M1, კამელინ M2, კამელინ M3, კამელინ M4, კამელინფლუ.

კამელინ M1– 2მლ 35% –იანი საინექციო ხსნარია, ჩამოსხმული 2 მლ ამპულებში. მისი წარმოებისათვის 2005 წელს კომპანიამ შეიძინა გერმანული წარმოების (ROTA Verpakungstechnik GmbH0 ნახევრადავტომატური ამპულების ჩამომსხმელი მანქანა დანადგარი, რომელიც განკუთვნილია D ტიპის ამპულების ჩამოსასხმელად. D ტიპის 2მლ–იან ამპულებში ხდება კამელინის 35 %–იანი საინექციო ხსნარის ჩამოსხმა. D ტიპის ამპულა დახურული ტიპის ამპულაა, რომელიც ქარხნულად სტერილურია, რაც განაპირობებს ჩამოსხმის პროცესის სტერილურობის გარანტირებულ დაცვას. D ტიპის ამპულების მომწოდებელია გერმანული კომპანაია Thuringer Pharmaglass GmbH, რომელიც აწვდის უმაღლესი ხარისხის პროდუქციას ფარმაცევტული წარმოების ყველა ცნობილ კომპანიას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასევე ქარხნულად არის მარკირებული კამელინის 2 მლ–იანი ამპულები,რომელიც თავისი ტექნოლოგიით უნიკალურია და განაპირობებს პროდუქციის დაცულობის უმაღლეს ხარისხს გაყალბებისა და ფალსიფიცირებისაგან. 2011 წელს ტექნოლოგიური გადაიარაღების პროცესის განსახორციელებლად, კომპანია კამელინის მიერ შეძენილი იქნა ROTA Verpakungstechnik GmbH-ს წარმოებული უკვე მეორე საამპულე სრულიად ავტომატური დანადგარი და დღეს კამელინ M1 წარმოება ხორციელდება ამ თანამედროვე ავტომატურ მანქანა – დანადგარზე.

კამელინი M2 – 500 მგ. კაფსულებია. მისი წარმოებისათვის კომპანია კამელინში გამოიყენება შრობის, გრანულაციისა და დოზირების თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები. კამელინის ხსნარის შრობა ხდება ამერიკული წარმოების თანამედროვე ლიოფილური შრობის დანადგარში (Millrock Technology Inc). ლიოფილური შრობის ყველა სტადია ამ აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის მეშვეობით პროგრამირებულია და უზრუნველყოფს პირველადი და მეორადი ლიოფილიზაციის სტადიების უზუსტესად განხორციელებას, რისი საშუალებითაც მიიღწევა კამელინის შრობის სრული სტანდარტიზაცია. გამშრალი კამელინის მასის გრანულაცია ხორციელდება გერმანული წარმოების (Pharmag GmbH) გრანულატორზე, რის შემდეგაც გამელინის გრანულატი დოზირდება კაპსულებში, დოზირების სიზუსტე და ხარისხი საწარმოში მიიღწევა ასევე თანამედროვე იტალიური (Dott.Bonapace Srl) საკაფსულე მანქანა – დანადგარის მეშვეობით.

კამელინი M3 – 5%–იანი მალამო 25 გ. ტუბში. მის საწარმოებლად კომპანიის საწარმოში დამონტაჟებულია გერმანული წარმოების (Waldner Holding GmbH) მიქსერჰომოგენიზატორი. მალამოს მასის მისაღებას ამ დანადგარზე ხდება მალამოს ფუძისა და კამელინის შერევა–ჰომოგენიზირება. მალამოს ფუძე გერმანული წარმოებისაა და არის უმაღლესი ხარისხის უნივერსალური ფარმაცევტული ფუძე. კამელინის 5%–იანი მალამოს დოზირება ხორციელდება იტალიური წარმოების (ZUMA Srl) ნახევრადავტომატურ დანადგარზე 30 მლ. ალუმინის ტუბებში, რომელიც ასევე გერმანული წარმოებისაა (LINHARDT GmbH). პროდუქციის შენახვის უმაღლესი ხარისხი განპირობებულია ტუბის უნიკალური აგებულებითა და მისი შიდა ზედაპირის მაღალრეზისტენტული ლაკით დაფარვით. ტუბი მარკირებულია ქარხნულად და აქვს პროდუქციის დაცვის უმაღლესი ხარისხი.

კამელინი მ4–სუპოზიტორია 2 მგ. კამელინი მ 4 წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებულია გერმენული წარმოების (WALDNER Holding GmbH) მიქსერ–ჰომოგენიზატორი. სუპოზიტორიის ფუძე გერმანული წარმოებისაა. კამელინ მ4 დოზირდება, თერმულად იხურება და მარკირდება იტალიური წარმოების (Dott. Bonapace Srl) დანადგარზე, ამ დანადგარის პროგრამული უზრუნველყოფა განაპირობებს დოზირების პროცესში ტემპერატურის უზუსტესად შეშენარჩუნებას მთელი პროცესის მანძილზე, რაც უზრუნველყოფს დოზირების ზუსტ და მაღალ ხარისხს.

კამელინფლუ – სპრეი 15 %–იანი ხსნარი 10 მლ. პროდუქციის ეს ფორმა კომპანიამ გამოუშვა 2011 წელს, ტექნიკური მოდერნიზაციის შემდეგ მისი დოზირება ხორციელდება გერმანული (ROTA Verpakungstechnik GmbH) ნახევრადავტომატური ჩამოსასხმელი მანქანა დანადგარზე 10 მლ ფლაკონებში. ფლაკონები გერმანული წარმოებისაა Thuringer pharmaglass GmbH, დოზირებული ფლაკონების დახურვა პომპით ხდება ასევე 2011 წელს შეძენილი სპეციალური დანადგარის მეშვეობით, რომელიც დანიური წარმოშობისაა (Watson-Marlow Flexicon A/S). გერმანული წარმოების უმაღლესი ხარისხის პომპა უზრუნველყოფს გაფრქვევისას ერთჯერადი დოზის სიზუსტეს პირის ღრუში კამელინფლუს –სპრეის გამოყენებისას.

კამელინის მიერ წარმოებული ხუთივე ფორმის მეორადი შეფუთვა ხორციელდება უმაღლესი ხარისხის შესაფუთ მასალებში, რომელის მომწოდებელია ბულგარული კომპანია. შესაფუთი მასალები იბეჭდება გერმანული წარმოების (Heidelberger Druckmaschinen AG) მანქანა დანადგარებზე, რაც უზრუნველყოფს ბეჭდისა და მარკირების უმაღლეს ხარისხს. კამელინის მეორადი შეფუთვის მასალები სერტიფიცირებულია და შეესაბამება ფარმაცევტული პროდუქტების შეფუთვის საერთაშორისო სტანდარტებს.